თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 5 ივნისი
მორიგი სხდომის
ოქმი № 9

ქ. თერჯოლა 5 ივნისი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარი ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. კახა ბუცხრიკიძე, 20. რამინი რობაქიძე, 21. თამარი ახვლედიანი, 22. ფრიდონ გვენეტაძე, 23. დავით ცხადაძე, 24. ნატალია ასათიანი, 25. მერაბი ბასილაძე, 26. ტარიელ ფანჩულიძე, 27. რუსუდან კოვზირიძე, 28. როლანდი მესხი

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე, 2. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 28 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდა: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ³⁰თ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282415285, 31.05.2024 წ.);

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282414610, 25.05.2024 წ.).

მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

სხდომის დაწყებამდე ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ - კახა ბვუცხრიკიძემ გააკეთა განცხადება, სადაც დააფიქსირა პოზიცია ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე. მხარდაჭერა გამოუცხადა აქციის მონაწილეებს. დაგმო ხელისუფლების ნაბიჯები რომელიც ხელს უშლის ქვეყნის ევროინტეგრაციას, ასევე დაგმო აქციის მონაწილეების მიმართ, პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები.
საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებმა დაასაბუთეს ხელისუფლების მიმდინარე პოლიტიკური ნაბიჯების მართებულობა.
პოლემიკა სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ სხდომის დატოვებით დასრულდა, რის შემდეგაც სხდომა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯომსრემ - თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა -159.0 ათასი ლარით და შეადგენს 30669.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 170.0 ათასი ლარით (გრანტი გაიზარდა 160,0 ათასი ლარით და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 10,0 ათასი ლარით).

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 11.0 ათასი ლარით. გრანტი შემცირდა 10.8 ათასი ლარით და ნაშთი შემცირდა 0.2 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 41.0 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 30.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება შემცირდა 1.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა შემცირდა 10.0 ათასი ლარით(მიზნობრივი ტრანსფერი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 200.0 ათასი ლარით .მ/შორის:

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 60.0 ათასი ლარით.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 100.0 ათასი ლარით.

სარეზერვო ფონდი გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №10, 05.06.2024 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ- თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 38.3 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30510.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 117.6 ათასი ლარით (გრანტი).
საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 79.2 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 79.2 ათასი ლარით. სატენდერო ეკონომია.
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი შემცირდა 71.6 ათასი ლარით(სატენდერო ეკონომიები).
წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია შემცირდა 7.6 ათასი ლარით.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 117,6 ათასი ლარით.
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშნებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 117,6 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 5 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი